

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31/12/2020 ლარი	31/12/2019 ლარი	31/12/2018 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	16 586	96 303	34 139
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	5	6 031 685	6 031 985	6 038 230
სულ გრძელვადიანი აქტივები		6 048 271	6 128 288	6 072 369
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	928 030	865 428	1 363 898
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		2 348	1 109	73 722
სხვა მიმდინარე აქტივები	7	613 204	451 529	533 965
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 543 582	1 318 066	1 971 585
სულ აქტივები		7 591 853	7 446 354	8 043 953
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	45 539	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	45 539	-
საგადასახადო ვალდებულებები		20 201	5 157	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1 395 519	1 464 422	1 437 421
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 415 720	1 469 579	1 437 421
სულ ვალდებულებები		1 415 720	1 515 118	1 437 421
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		25 500	25 500	25 500
გაუნაწილებელი მოგება		6 062 180	5 817 283	6 492 579
გადაფასების რეზერვი		-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		88 453	88 453	88 453
სულ საკუთარი კაპიტალი		6 176 133	5 931 236	6 606 532
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7 591 853	7 446 354	8 043 953

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“
მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	9	53 419	107 714
ამონაგების თვითღირებულება		(4 631)	(11 245)
საერთო მოგება		48 787	96 469
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(458 628)	(801 357)
ფინანსური ხარჯი	11	22 399	335
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	12	632 338	29 257
მოგება დაბეგვრამდე		244 897	(675 297)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		244 897	(675 297)

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020
 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2018	-	6 492 579	6 492 579
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(675 297)	(675 297)
ნაშთი - 31.12.2019	-	5 817 283	5 817 283
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	244 897	244 897
ნაშთი - 31.12.2020	-	6 062 179	6 062 179

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 16/12/2002). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, მ. კოსტავას ქ. №47/57. მისი ძირითადი საქმიანობაა მომსახურების გაწევა საინფორმაციო ტექნოლოგიურ სფეროში. იგი ასევე ახდენს კომპიუტერული პროგრამების შექმნასა და რეალიზაციას. ამასთან კომპანია გასცემს სესხებს საპროცენტო შემოსავლების მიღების მიზნით.

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

დირექტორი - აიეტი კუკავა (პ/ნ 62001020248)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2020	2019
1 აშშ დოლარი/ლარი	3,2766	2,8677
1 ევრო/ლარი	4.0233	3,2095

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება.

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|--------------------------------------|------------------|
| • შენობა-ნაგებობები | 5 პროცენტი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 10 – 20 პროცენტი |
| • მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა | 10 – 30 პროცენტი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ცვლილებები წარდგენაში

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც შესწორებული / რეკლასიფიცირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

კორექტირებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	ცვლილება / რეკლასიფიკაცია
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	73 722	260	73 461 კორექტირება
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1 245 367	12719	1 232 648 კორექტირება
სხვა მოკლევადიანი აქტივები	441 327	509836	(68 509) კორექტირება
საიჯარო ვალდებულება	1 417	0	1 417 რეკლასიფიკაცია/კორექტირება
სავაჭრო ვალდებულებები	1 677	472935	(471 258) კორექტირება
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	647	-	647 რეკლასიფიკაცია/კორექტირება
სხვა ვალდებულებები	809 387	333 210	476 177 კორექტირება
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	6 492 579	6 492 546	34 კორექტირება

კორექტირებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	ცვლილება / რეკლასიფიკაცია
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 109	659	450 კორექტირება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	99 124	98 614	510 კორექტირება
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	766 304	6 430	759 874 კორექტირება
სხვა მოკლევადიანი აქტივები	326 409	328 445	(2 036) კორექტირება
საიჯარო ვალდებულება	727	-	727 რეკლასიფიკაცია/კორექტირება
სავაჭრო ვალდებულებები	4 582	482 041	(477 459) კორექტირება
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	93 866	95 879	(2 013) კორექტირება
საგადასახადო ვალდებულებები	5 157	3 630	1 527 კორექტირება
სხვა ვალდებულებები	951 948	400 969	550 979 კორექტირება
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	5 817 283	5 855 359	(38 076) კორექტირება
მომსახურების გაწევიდან	105 411	101 675	3 736 კორექტირება
გაყიდვების თვითღირებულება	(11 245)	(9 859)	(1 386) კორექტირება
დასაქმებულთა ანაზღაურება	(618 247)	(619 287)	1 040 კორექტირება
იჯარის ხარჯი	(32 311)	-	(32 311) რეკლასიფიკაცია/კორექტირება
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(130 572)	(162 111)	31 539 კორექტირება
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	29 257	69 986	(40 729) კორექტირება

4. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ლიზინგით მიღებული ძირითადი საშუალებები - სატრანსპორტო საშუალებები
პერიოდი 01/01/2018	26 345	-
შემოსვლა	17 885	-
ცვეთა	(10 092)	-
ჩამოწერა	-	-
პერიოდი 31/12/2018	34 139	-
პერიოდი 01/01/2019	34 139	-
შემოსვლა	263	82 129
ცვეთა	(8 887)	(11 341)
ჩამოწერა	-	-
პერიოდი 31/12/2019	25 515	70 788
პერიოდი 01/01/2020	25 515	70 788
შემოსვლა	1 169	-
ცვეთა	(8 751)	(1 991)
ჩამოწერა	(1 347)	(68 797)
პერიოდი 31/12/2020	16 586	-

5. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში**სს ვესტა ჯგუფი**

პერიოდი 01/01/2018	-
შეძენა	6 000 000
შემცირება	-
პერიოდი 31/12/2018	6 000 000
პერიოდი 01/01/2019	6 000 000
შეძენა	-
შემცირება	(6 245)
პერიოდი 31/12/2019	5 993 755
პერიოდი 01/01/2020	5 993 755
შეძენა	-
შემცირება	-
პერიოდი 31/12/2020	5 993 755

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019	2018
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მოთხოვნა	148 391	99 124	118 532
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4 654	8 262	14 781
გაცემული სესხები	774 986	758 042	1 230 585
სულ	928030	865428	1363898

7. სხვა მიმდინარე აქტივები

	2020	2019	2018
მისაღები პროცენტები	452174	318287	428576
საგადასახადო აქტივი	-	-	1777
დაუმთავრებელი წარმოება - კომპიუტერული პროგრამა	153343	122983	92638
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-	2171
სხვა აქტივები	7688	10259	8803
სულ	613204	451529	533965

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020	2019	2018
საიჯარო ვალდებულებები	539	727	1417
მოკლევადიანი ნასესხები თანხები	111904	413300	624293
სავაჭრო ვალდებულებები	9044	4582	1677
გადასახდელი ხელფასები	353162	93866	647
საგადასახადო ვალდებულებები	20201	5157	-
მიღებული ავანსები	45125	45125	45125
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	540651	431600	431600
გადასახდელი პროცენტი	9743	123215	25758
გადასახდელი დივიდენდი	223631	223631	223631
სალიზინგო ვალდებულებები	-	36590	-
სხვა ვალდებულებები	101720	91787	83273
სულ	1415720	1469579	1437421

9. ამონაგები

	2020	2019
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან	2660	2303
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	50758	105411
სულ	53419	107714

10. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
დასაქმებულთა ანაზღაურება	(399 098)	(618 247)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(10 743)	(20 227)
იჯარის ხარჯი	(10 271)	(32 311)
თანმშრომელთა ტრენინგის ხარჯი	-	(337)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	(15 339)	(15 209)
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	(532)	(5 552)
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	(9 208)
მივლინების ხარჯი	-	(33 418)
საგადასახადო ხარჯი	(4 022)	(11 685)
საბანკო ხარჯი	(300)	(714)
სამეურნეო დარჯი	(16)	(3 549)
დაცვის მომსახურების ხარჯი	(3 649)	(1 937)
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	(6 000)	(13 178)
სხვა ხარჯი	(8 659)	(35 784)
სულ	(458628)	(801357)

11. ფინანსური ხარჯი/ შემოსავალი

	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	90 788	85 859
საპროცენტო ხარჯი	(68 389)	(85 524)
სულ	22399	335

12. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2020	2019
საკუროსო სხვაობა	134 371	68 809
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	(70 144)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	568 111	(39 551)
სულ	632338	29257

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 2 სექტემბერს.

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“-ის
დირექტორი აიეტი კუკავა

ს. ყუყუაძე